დანართი N 3
ვამტკიცებ _____
შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის რექტორი
2019 წლის 09 სექტემბრის
N 1/16 ბრძანებით

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები



ქუთაისი 2019 წ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. **შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის (შემდგომში სკოლის)** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მონიტორინგი, სასწავლო და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება და მისი განვითარება.

1.3.სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში(შემდგომში პროგრამები) არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.

1.3. პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ინტერვიუერებს ურიგდებათ კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება შედეგების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის კორექტირება .

მუხლი 2. ხარისხის განვითარების მექანიზმები

2.1. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დაგეგმე;
- განახოციელე;
- შეაფასე;
- განავითარე.

დაგეგმე - განისაზღვრება ამოცანები და მიზნები;იქმნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მუშავდება ამ ამოცანების მისაღწევად საჭირო მეთოდები, სტრუქტურები, ირჩევა განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო ეს არჩევანი მყარდება შესაბამისი კვლევებით ან დასაბუთებით.

განახორციელე - გეგმის მიხედვით ეწოდება მომხმარებლს მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს;

შეაფასე- მიმდინარეობს ყველა პროცესის მონიტორინგი, რომელიც გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში. კითხვარების ანალიზის საფუძველზე ფასდება საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის დროს გამოვლენილი ხარვეზები.

განავითარე - შეფასებაზე დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურების/თანამშრომლების ჩართულობით მუშავდება ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციები შემდგომი ცვლილებებისათვის/განვითარებისათვის.

2.2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად

ა) პროგრამის მიმდინარეობისას
ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ

2.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების განხორციელების შეფასების მიზნით ინტერვიუერებს ურიგდებათ კითხვარები ;
3.კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან წელიწადში 1 -ჯერ სამი წლის განმავლობაში.
4.პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა მოდულის /სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ;
5.ადმინისტრაციის გამოკითხვა ხორციელდება ექვს თვეში ერთხელ;
6.გამოკითხვის შედეგების ანალიზი კეთდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება და ახალი რედაქციით დამტკიცება.
7. აღნიშნული კითხვარების შევსების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენა დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს .

მუხლი 3.ხარისხის შემოწმების -კითხვარების ფორმები

3.1. სკოლაში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები:
3.1.1.პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი(დანართი 1);
3.1.2.პროფესიული სტუდენტის კითხვარი(დანართი 2);
3.1.3. ადმინისტრაციის კითხვარი(დანართი 3);
3.1.4.კურსდამთავრებულის კითხვარი(დანართი 4).

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

2.1. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს ბრძანებით ამტკიცებს რექტორი და ცვლილებების შეტანა ხორციელდება რექტორის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის გზით.